

გარდაბნის ჭალის ტყის მერქნიანი მცენარეები

დავითი ჩოხელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერების და საინჟინრო ფაკულტეტზე სატყეო
მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა (MSc), სატყეო
მეცნიერება) სამაგისტრო პროგრამა

მიმართულება: სატყეო მეცნიერება

ხელმძღვანელი: დოქტორანტი ვასილ მეტრეველი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

განცხადება

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

დავით ჩოხელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო კვლევა წარმოადგენს გარდაბანის ალკვეთილის ტერიტორიაზე არსებულ მტკვრის ჭალის ტყეში გავრცელებული მერქნიანი სახეობებისა და მათი გავრცელების კანონზომიერების შესწავლას. ჭალის ტყეები ძირითადად ვრცელდება მდინარისპირა ზოლებში - ჭალაში. ჭალის ტყეები წარმოადგენენ უნიკალურ რეზერვატს მდიდარი ბიოლოგიური მრავალფეროვნებით და აქვთ დიდი ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა. საქართველოში ჭალის ტყეები სამეურნეო ტყის ფონდის 4%-ს შეადგენს. დღეისათვის აღნიშნული ტყეები საკმაოდ დიდ ზეწოლას განიცდის მთელი მსოფლიოს მამტაბით. მტკვრის ჭალის ტყეებში გარდაბანის ალკვეთილის არსებობა ზღუდავს ადამიანის ზეგავლენას. აქედან გამომდინარე, ჩემმა კვლევამ საშუალება მოგვცა გვეჩვენა, თუ როგორი სახის უნდა იყოს მტკვრის ჭალის ტყის ბუნებრივი ეკოსისტემა. ამას გარდა, შევისწავლეთ აღნიშნული მცენარეების ჰაბიტატები და გავარკვიეთ, კონკრეტულად რა პირობებში გვხვდება აღნიშნული ჭალის ტყის მთავარი ტყის შემქმნელი სახეობები: მუხა (*Quercus pedunculiflora*) და ვერხვი (*Populus canescens*). კვლევის შედეგად, მარტივი ხაზობრივი რეგრესიით ვერხვის მარაგების წილის დაკავშირებამ მდინარიდან დაშორებასა და ნიადაგის სიღრმესთან, სარწმუნოდ ($P=0.016$) აჩვენა, რომ რაც უფრო ღრმაა ნიადაგი, მით მეტია ვერხვის წილი კორომში. მუხის წილთან აღნიშნული ცვლადების კავშირმა სარწმუნოდ ($P=0.001$) აჩვენა, რომ რაც უფრო იზრდება მდინარიდან მანძილი, მით უფრო იზრდება მუხის წილი კორომში. რაც შეეხება მერქნიანი სახეობების განაწილებას, კვლევისას ჩავინიშნეთ 38 გვარის 39 სახეობა. აღნიშნული 39 სახეობიდან ამდენივე გვხვდება მუხნარ კორომებში, ხოლო ვერხვნარ კორომებში გვხვდება მხოლოდ 34 სახეობა.

მადლობა

დიდი მადლობა მეცნიერებს და სპეციალისტებს, რომელთა დახმარების გარეშეც ნაშრომს ვერ მოვამზადებდი, სახელდობრ:

ჩემს ხელმძღვანელს: ვასილ მეტრეველს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტს - მეთოდის შემუშავებასა და მონაცემების დამუშავებაში, აგრეთვე მასალების და საველე ინფორმაციის მოწოდებისათვის , დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის;

ზაზა ნონაშვილს, ზურაბ ჯანიაშვილს, ილია აკობიას, ლევან ოზბეთელაშვილს, ილიას უნივერსიტეტის ტყის კვლევის ჯგუფის წევრებს - საველე სამუშაოში გაწეული დახმარებისათვის, საველე ინფორმაციის მოწოდებისათვის და რეკომენდაციებისათვის;

ასევე, დიდი მადლობა შემდეგ ორგანიზაციებს: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტს საველე გასვლების დაფინანსებისათვის.